სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2023 წლის 27 ივლისის №165/01-01 და №166/01-01 ბრძანებების, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის პირველი აგვისტოს №21623/30 და №21706/30 წერილების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 11 სექტემბრის №13 სხდომის ოქმის საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 11 სექტემბრის #81/2023 დადგენილებით აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღებად დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი (შესწორებული)

ქ. თბილისი 29.09.2023

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე (კომისიის თავმჯდომარე), პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია (კომისიის მდივანი), პროფესორი გიორგი გოგსაძე (კომისიის წევრი), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გურამ აბესაძე (კომისიის წევრი).

დღის წესრიგი:
1. კონკურსის შედეგების შეჯამება (გასაუბრების და კენჭისყრის შედეგების შეჯამება);
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამატკიცებლად გადაცემა;

მოისმინეს: საკონკურსი კომისიის პირველი (დოკუმენტების შესწავლა) და მეორე სხდომის (გასაუბრების, ლექციის და კენჭისყრის) შედეგები.

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასისტენტ პროფესორის ერთ აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კოკურსში მონაწილეობდა სამი კანდიდატი - მამუკა მჭედლიძე, სანდრო ტაბატაძე და ალექსანდრე წურწუმია. კანდიდატების მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწესრიგებული იყო. გასაუბრებაზე კანდიდატებმა ისაუბრეს მათ მოტივაციაზე, ჩაატარეს ლექცია და უპასუხეს კომისიის წევრების მიერ დასმულ კითხვებს.

ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის ასარჩევად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. მასში მონაწილეობდა კომისიის ხუთი წევრი.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

მამუკა მჭედლიძე - მომხრე 0
სანდრო ტაბატაძე - მომხრე 5

ალექსანდრე წურწუმია - მომხრე 0

მიღებული დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგების საფუძველზე პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით გამარჯვებულად გამოვლინდა სანდრო ტაბატაძე.

კომისიის წევრთა აზრით, გამარჯვებულმა კონკურსანტმა გამოავლინა მაღალი კვლევითი აქტივობა. მას აქვს მაღალი ციტირების ინდექსი (Google Scholar citation: 44, h-index: 4) ასევე, მაღალრეიტინგულ, იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში (Europe-Asia Studies, 2022, 74 (8) და Transylvanian Review of Administrative Sciences 19 (68)) გამოქვეყნებული აქვს ორი სამეცნიერო სტატია. მოცემულ სტატიებში მის თანაავტორს აღებული აქვს რექტორის ჯილდო. მაღალია ს. ტაბატაძის საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხი უცხოეთის (Erasmus + ფარგლებში განხორციელებული მობილობები) უნივერსიტეტებტან. ამასთანავე, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსი მთელ რიგ სიახლეებს შეიცავს როგორც თემატური, ისე მეთოდური თვალზრისით, რაც კარგად გამოვლინდა კომისიის წინაშე ჩატარებული ლექციის პროცესშიც.

დანარჩენ კანდიდატებს, ბატონ მამუკა მჭედლიძეს და ბატონ ალექსანდრე წურწუმიას აგრეთვე აქვთ უცხოური სამეცნიერო სტატიები, თუმცა უფრო დაბალი კვალიფიკაციის გამოცემებში და არა მაღალრეიტინგულ იმპაქტფაქტორიან ჟურნალში. ამავე დროს, ბატონ მამუკა მჭედლიძეს საერთოდ არ აქვს საერთაშორისო ციტირების ინდექსი, ხოლო ბატონ ალექსანდრე წურწუმიას აქვს გაცილებით დაბალი, ვიდრე სანდრო ტაბატაძეს (Google Scholar citation: 8, h-index: 2).

შესაბამისად, კომისიის აზრით, სანდრო ტაბატაძეს როგორც არსებული, ისე სამომავლო პერსპექტივით გაცილებით მეტი რესურსი აქვს დანარჩენ კანდიდატებთან შედარებით, როგორც მეთოდური, ისე კვლევითი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. კონკურსის შედეგად, გამარჯვებულად გამოვლინდა სანდრო ტაბატაძე.
2. შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს თსუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე
(კომისიის თავმჯდომარე)



პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე



(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია

(კომისიის მდივანი)

პროფესორი გიორგი გოგსაძე

(კომისიის წევრი)

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გურამ აბესაძე

(კომისიის წევრი)